ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

1993
ხუთშაბათი
22
აპრილი
№16 (10607)
ფასი 5 მანეთი

ზუგდიდის დამოუკიდებელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

ურყევად მჯერა

გარკვეული იმედებით ელოდა სოჭის შეხვედრას საქართველოს მოსახლეობა. რა თქმა უნდა, მიამიტურად არავის დაუჯერებია ის აზრი, რომ დღევანდელ ყველა პრობლემას ეს შეხვედრა გადაჭრიდა, მაგრამ რაღაც კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას კონფლიქტის განელების გზაზე კი მოველოდით. მაგრამ მოლაპარაკების დაწყების პირველი წუთებიდანვე რუსეთის დელეგაციამ ჩვეულებისამებრ გამოამჟღავნა თავისი იმპერიული ზრახვები. იგი მოპირდაპირე მხარეს კი არ ელაპარაკებოდა როგორც თანაბარუფლებიან პარტნიორს, არამედ თავს ახვევდა მისთვის ხელსაყრელ პირობებს. დიახ, ჩვენ ყველამ ვიგრძენით გრაჩოვისა და პასტუხოვის გამოსვლების თვით ტონში რუსეთის იმპერიული ამბიციები. ველიკოდერჟავული რუსეთი ისევ ცდილობს მიაფუჩეჩოს დღევანდელობის მიერ წარმოჩენილი პოლიტიკური წინააღმდეგობანი და თავის სასარგებლოდ გადაწყვიტოს საკითხები. სახეზეა მზაკვრული მცდელობა იმისა, რომ გააჭიანურონ აფხაზეთის საომარი კონფლიქტი, კიდევ უფრო გაალვივონ კონფრონტაციის კერები კავკასიის სხვადასხვა რეგიონში.

მიუხედავად ამდენი ბარიერებისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისა, რაციონალურ მარცვლად აღვიქვით ცალკეული შეთანხმებანი აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტის, საჯარისო ნაწილების დაშორიშორების შესახებ და ა. შ. მაგრამ როდის ყოფილა იმპერია სიტყვის პატრონი. ამჯერადაც პირუმტკიცობა გამოიჩინა. განა ამაზე არ მეტყველებს 13-14 აპრილს სოხუმში განხორციელებული დაბომბვები? ისევ მსხვერპლი, ისევ იღვრება უდანაშაულო ადამიანების სისხლი. ყოველი ქართველი გულდამძიმებული ეკითხება საკუთარ თავს: როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე? როდემდე უნდა ვითმინოთ რუსი იმპერიალისტების მუხანათობა?

ტყუილად როდი ამბობს ხალხი: არ გათეთრდების ყორანიო... უჭირს ბუნების, არსის შეცვლა „დიდ ჩრდილოეთელ ძმას“. ამიტომაც ალბათ აღარ გვარგია მათთან ლოიალური, ქვეშევრდომული დამოკიდებულება. უფრო მტკიცე და რეალისტური პოლიტიკის გატარებით უნდა მივაღწიოთ ორთავიანი არწივის ჭანგებიდან თავის დახსნას.

შესაძლოა ვცდებოდე, მაგრამ მაინც ასე მწამს და მჯერა.

ა. არნანია.

უსაფრთხოების მიზნით

1992 წლის 30 ნოემბერს ქალაქ გურჯაანში მოხდა გურამიშვილის ქუჩის № 9 საცხოვრებელი სახლის აფეთქება, რის გამოც შეიქმნა ავარიის გამომკვლევი სამთავრობო კომისია.

ავარიის გამომკვლევმა კომისიამ საჭიროდ მიიჩნია დაევალოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს საქგაზის დეპარტამენტს — ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან, რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებთან ერთად, რომელთა ბალანსზე ... ბინათა ფონდი, მოახდინონ გაზის ხელსაწყოების ინვენტარიზაცია და მიიღონ ზომები უკანონოდ გამოყენებული ხელსაწყოების ექსპლოატაციიდან ამოღებისათვის;

არ დაუშვან გაზის მოხმარება იმ საცხოვრებელ სახლებში, სადაც არ არის შესრულებული მიწისქვეშა კომუნიკაციების ჰერმეტიზაციის სამუშაოები.

გაძლიერდეს შიგასაუწყებო ტექნიკური ზედამხედველობა საყოფაცხოვრებო სექტორში;

სამინისტროებმა, უწყებებმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ თავიანთ ბალანსზე რიცხულ საცხოვრებელ სახლებში მიწისქვეშა კომუნიკაციების ჰერმეტიზაციის სამუშაოების ჩატარება.

პ ო ზ ი ც ი ა

მე ჩემი გზით მივდივარ

„...იყო და არა იყო რა“... იყო ერთი პატარა სოფელი, ამ სოფელში ორმოცდაათზე მეტი შრომის გმირი ცხოვრობდა. მკერდზე ხუთქიმიანი ვარსკვლავი უკიაფებდათ, თვალებშიც ვარსკვლავები უციმციმებდათ და დღედაღამ მუხლჩაუხრელნი, მკლავებდაკაპიწებულნი მშრომობდნენ. ხვავი და ბარაქა არ ელოდათ. ეს სიმინდიო, ჩაიო, ციტრუსიო, ხორციო, რძეო... გმირები ხომ ჰო და... რიგითი კოლმეურნეებიც მხრებგაშლილნი, სახემომღიმარნი დაბიჯბიჯებდნენ.. ერთი სიტყვით, სიცოცხლე დუღდა სოფელში. მერე ნელ-ნელა თითქოს რაღაც შეიცვალა, დროც გადიოდა, გმირები ბერდებოდნენ. ახალგაზრდები კი გმირობას თაკილობდნენ ესაო და ისაო. ბოლო შრომის სიმღერებით გახურებული, მოგიზგიზე კოცონიც ჩაქრა და.. მართი იყო, თუ სინამდვილე „იყო და არა იყო რა“.

უნდა გაგიმხილოთ: იმ „ზღაპრულ სოფელს“ ახალსოფელი ერქვა და ქვია დღესაც. ოღონდ, ძველებური ბარაქისა რა მოგახსენოთ... თუმცა გვითხრეს გმირთა სოფელი ისევ დგება ფეხზეო. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა, პრეზიდენტის მომხრეთა მორიგ ხალხმრავალ მიტინგზე ახალსოფლის გამგებელი, ამავე სოფლის მკვიდრი ფრიდონ ქადარია მოგვეძებნა და რედაქციაში სასაუბროდ მოგვეწვია.

ბატონო, ფრიდონ! როგორ ცხოვრობს დღეს გმირთა სოფელი?

ცუდად. ძალიან უჭირს. რაღაც ინერციით მოდის დღემდე. დანგრეული და გავერანებულია მთელი სოფელი. კარგახანია არ არსებობს მეცხოველეობის ფერმა. არ მუშავდება ჩაისა და ციტრუსის პლანტაციები, არ იკრიფება ჩაი. არის ერთი ქაოსი. სოფელს ძველი დიდებიდან მხოლოდ ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობა შემორჩა. და კიდევ პროფკავშირული ორგანიზაცია, რომელიც ისევ ძველი სტილით მუშაობს. სოფელი გაღარიბდა, შიმშილის ზღვარზეა მისული. კოლმეურნეობის გამგეობა კოლმეურნეებს ვერაფრით ეხმარება. არ არის დასამალი, ვან ვერც საწვავით, ვერც საჭირო შხამ-ქიმიკატებით, საწარმოო ძალით ვერ უზრუნველყო ისინი. ხალხი დაბნეულია. ყველა მამაპაპურ მიწას გაიძახის. არ იციან რა გააკეთონ, რითი იცხოვრონ, რას ჩაებღაუჭონ...

სოფლის თავკაცი გამოსავალზე ფიქრობს, ალბათ...

ირგვლივ, ხედავთ, როგორი ვაკუუმია შექმნილი. საიმედო არაფერი ჩანს. დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლებაც, ეტყობა, სახარბიელოს ვერაფერს შესთავაზებს მშრომელებს. ისღა დაგვრჩენია, ჩვენ თვითონვე, დამოუკიდებლად შევეცადოთ მდგომარეობიდან გამოსვლას. გვაქვს ჩანაფიქრიც. მიმდინარე წლის 22 მარტს სოფლის ყრილობა მოვიწვიეთ. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სოფლის მშრომელებმა ზემოდან კარნახის გარეშე, თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კოლმეურნეობის ბაზაზე შეექმნათ საწარმოო-სააქციონერო საზოგადოება. ყრილობაზე დამტკიცდა საზოგადოების პროგრამისა და წესდების პროექტი.

გლეხი სამოცდაათი წელი იყო მიჯაჭვული კოლმეურნეობას. ეგების ბევრი რამ არ მოსწონდა მასში, მაგრამ მეჩვეულის გადაჩვევა უჭირდა, არც იმდროინდელი საზოგადოებრივი ფორმაცია იძლეოდა ლაღად ამოსუნთქვის საშუალებას. დღეს ბევრს ლაპარაკობენ საბაზრო ეკონომიკაზე. უეჭველია, რა დღეს, რა ხვალ, მაინც მოგვიწევს ამ რელსზე გადასვლა. გლეხმაც ამ გზით სიარული უნდა ისწავლოს. თუ სახელმწიფო ყველაფერს საბაზრო ფასს ადებს, გლეხმა რა დააშავა? ერთ-ერთ თათბირზე, მშრომელებს შესთავაზეს—ჩაი ამა და ამ ფასებში უნდა მოგვყიდოთო. ე. ი. სახელმწიფო მეწარმეს ფასს კარნახობს და უკანონებს. მე პროტესტი გამოვთქვი ამის გამო. რატომ უკანონებენ მშრომელს მისგან წარმოებული პროდუქტის ფასს? რა, მის შესაქმნელად საწვავი ან სხვა რამ აუცილებელი საწარმოო ძალა უფასოდ ან თუნდაც შეღავათიან ფასებში მიაწოდეს თუ? არა, ბატონო, გლეხმა თვითონვე შეიძინა ყველაფერი და სხვათაშორის საბაზრო ფასებში (!). მაშ, რატომ ითხოვ მისგან შენთვის ხელსაყრელ ფასს? გლეხმა თვითონ უნდა დაადოს თავის საქონელს ფასი. თუ მშრომელი სახელმწიფოს თვალში მიმწოდებლიდან მეწარმედ არ გადაიქცევა, გაჭირდება მათი ურთიერთობა.

საწარმოო-სააქციონერო საზოგადოება სწორედ ამ ურთიერთობებს მოაწესრიგებს. იგი სოფლის მშრომელის იმედია. საზოგადოება იმოქმედებს მხოლოდ კანონისა და კონსტიტუციის ფარგლებში და სრულ თავისუფლებას მისცემს მას. გლეხს უფლება აქვს თავისი ქონება მისივე შეხედულებისამებრ გაანაწილოს. საზოგადოებაში შემოსული პირი, იდება რა მასთან ხელშეკრულება, ხდება აქციის მფლობელი. იგი მარაგდება აუცილებელი საარსებო პროდუქტებით, ასევე წარმოებისთვის საჭირო ნედლეულით. საწარმოო - სააქციონერო საზოგადოება თვითდაფინანსებაზეა. გლეხი, რომელიც მანეთით მოდის აქ, პროცენტული მოგების სახით დაიბრუნებს მას. თუ საზოგადოება ბოლომდე ვერ დააკმაყოფილებს პიროვნებას, მას მოქმედების თავისუფლება ეძლევა. და თუნდაც უფლება გავიდეს საზოგადოებიდან. საწარმოო-სააქციონერო საზოგადოება სახელმწიფოსთან ითანამშრომლებს მხოლოდ იმ ხელშეკრულების თანახმად, რომელიც წარმოდგენილი იქნება მსოფლიოში ცნობილი საპროცენტო გადასახადის სახით

ჩემმა თანასოფლელებმა, ვფიქრობ, დადებითად გააცნობიერეს საწარმოო-სააქციონერო საზოგადოების არსი. თუმცა მოწინააღმდეგეებიც გამოჩნდნენ უკვე. ბევრი მათგანი შეგნებულად გვიშლის ხელს. ისევ მოქმედებს ის ძველი, კომუნისტური კლანი, რომელიც ეჭვის თვალით უყურებს ყოველივე ახალს. ბევრი კი უბრალოდ, ჯერ-ჯერობით ვერ ჩაწვდა საზოგადოების სიღრმეებს. ჩვენ ვცდილობთ ყველასთან ვიპოვოთ შეთანხმების წერტილები.

ასეა თუ ისე, მომავლის იმედმა აამოძრავა ხალხი. საგაზაფხულო სამუშაოები ნორმალურად წარიმართა. არ გვქონია სერიოზული შეფერხებები.

საწარმო-სააქციონერო საზოგადოებამ შეიძლება ერთბაშად ვერ მოგვიტანოს სიმდიდრე, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ის ფეხზე დააყენებს სოფელს. თუ მდიდარი იქნება სოფელი, მოგეხსენებათ, მდიდარი იქნება ქვეყანაც. მე მაქსიმალისტი ვარ. სიძნელეების არ მეშინია. ბოლომდე ვიბრძოლებ და მიზანსაც მივაღწევთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დღევანდელ ადგილობრივ ხელისუფლებას ვთხოვო, თუ დახმარებას არ გაგვიწევენ, ხელს ნუ შეგვიშლიან და მოგვცენ შესაძ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის სადღეისო საზრუნავი

გზა საბაზრო ეკონომიკაზე გადის

რაიონის მოსახლეობა სოფლის მეურნეობას მისდევდა დასაბამიდან. მცირე მიწიანობით გამორჩეულ სოფლებში მწვავე ფორმით იჩინა თავი მიწის რეფორმის პრობლემებმა. საბაზრო ეკონომიკა კი თავისუფალ მეწარმეობას გულისხმობს. თავისუფალი, ფერმერული, გლეხური მეურნეობების ჩამოყალიბების პროცესში მრავალ თავსატეხ პრობლემასთან აქვთ საქმე სოფლის გამგებლებს, საზოგადოებრივი სექტორების ხელმძღვანელებს.

მცირე მიწიანი სოფელი ინგირი—იყო, არის და იქნება ერთ-ერთი კოლორიტული სოფელი თავისი ექვსიათასზე მეტი მაცხოვრებლით, ტრადიციით, მტრისა და მოყვრის გარჩევით.,,

როგორც ყველგან, ასევე აქაც სოფლის სოციალური დაუცველობაა ნომერ პირველი პრობლემა.

სოფლად 292 ჰექტარი მიწა ჩაის კულტურას აქვს დათმობილი, რომელიც ამ ეტაპზე არ ექვემდებარება პრივატიზაციას. მშრომელები კი მოითხოვენ მამა-პაპისეული მიწების დაბრუნებას... მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, სადღეისოდ ეს კულტურა საზოგადოებრივი სექტორის დაქვემდებარებაშია და მოითხოვს მოვლა-დამუშავებას.

საზოგადოებრივი მეურნეობის მთავარ აგრონომთან ბიბი არახამიასთან საუბარში წარმოჩინდა, რომ განუკითხაობის ჟამს 20 საკრეფი მანქანა „საქართველო", მექანიზატორებმა გადაარჩინეს (ისინი მათ ოჯახებში უყენიათ). ოცი მანქანიდან გასხვლის ოპერაციებში მონაწილეობა მიიღო რვა მექანიზატორმა და გასხვლა-ფორმირება აგროვადებში დამთავრდა. მოსახლეობის მოთხოვნით სამექანიზაციოდ განკუთვნილი 140 ჰექტარი პლანტაციის ნაწილი გადაეცათ ხელით მკრეფავებს.

რომ საწვავ-საცხებების პრობლემა არა, რომ მარაგ-ნაწილების დიდად გაძვირება არა, გაზრდილი საშემოსავლო გადასახადები არა, წარმოებული ჩაის თვითღირებულება საგრძნობლად დაიწევდა და გლეხზეც სარგოდ მეტი თანხა გაიცემოდა. დღეისათვის ნავარაუდევია კილოგრამ ჩაის ნედლეულის დამზადებაზე გაიცეს 25 მანეთი და ეს თანხა მერყეევია საშუალო გამომუშავებულ 20-25 პროცენტი, ბარტერული გაცვლის მიზნით (გაწეული ხარჯების გათვალისწინებით).

სამწუხაროდ, ზოგიერთმა მოქალაქემ, რომელმაც ცუდად გაიგო მიწის რეფორმის გატარების საკითხები, არა ერთ ადგილას აჩეხა ჩაის ბუჩქები და სამოსახლოდ მიითვისა. ასევე უნებართვოდ მიტაცებულია 45 ჰექტარი სახნავ-სავარგული.

საუბარში ერთვება სოფლის გამგებელი ბია კაკულია: ჩემის აზრით, დღეისათვის სახნავ-სათესად განკუთვნილი 45 ჰექტარიც ვერ დააკმაყოფილებს მოსახლეთა მოთხოვნას. 400-ამდე ოჯახი თხოულობს ახლად დასახლებას, რომელთა დაკმაყოფილების მინიმალური საშუალებაც არ არსებობს მიწის სიმცირის გამო.

სოფლის გამგეობას დღეს მეტად რთულ პროცესში უხდება მუშაობა. პრობლემებზე, რომელიც, შეგვიძლია ადგილზე გადავწყვიტოთ, არავის ვაწუხებთ, მაგრამ რიგი საკითხების მოგვარებისათვის ძალა არ შეგვწევს. არის სატკივარის სიმრავლე, მითუმეტეს ისეთისა, როგორიც სახელმწიფო მაღაზიის ამოქმედებაა.

ხალხი მოითხოვს ზუგდიდ-ინგირის რკინიგზის მარშრუტზე ავტობუსების მოძრაობის აღდგენას, რაიონის ცენტრთან სატელეფონო კავშირის ამოქმედებას.

ხალხის მოთხოვნით სოფლად არსებული სბავშვო ბაღებიდან აღდგენილია ერთი, აღდგენას მოითხოვენ სხვა უბნებშიც. საჭიროა და უცილობელი მათთვის შეფობის გაწევა, რაც უნდა ითაონ ადგილობრივმა კოოპერატივებმა.

როგორც ყველგან, მაინც მთავარი სოფლად ისევ და ისევ მიწის განაწილების, მისი დამუშავების საკითხია, რომლის გადაჭრაში თავიანთი სიტყვა უნდა თქვან სოფლის ხელმძღვანელებმა.

მანამდე კი უნდა გამოვეხმაუროთ მიწის ძახილს. დროზე უნდა მოვუაროთ მინდვრად თავჩენილ სატკივარს.

ბ. აბულაძე.

თვალსაზრისი

როგორ საქართველოს ვაშენებთ?

ცხრა აპრილს ჩვენ შიშველი ხელებით დავდექით უზარმაზარი ურჩხულის წინაშე და გავიმარჯვეთ. მაშინ დაღვრილმა წმიდათა წმიდა სისხლმა გაგვაერთიანა. მაგრამ თურმე გულში ხითხითებდა სატანა, სულ მალე საშინელი მეხი დაგვატეხა თავზე. 1992 წლის 22 დეკემბრის ტრაგიკულმა დილამ ისევ ორ დაპირისპირებულ ბანაკად გათიშა საქართველო. მაგრამ იმედით ცოცხლობს და იბრძვის ხალხი. სულ მალე დადგება ჟამი ხელახალი სულიერი გაერთიანებისა, რათა ყოველნაირად დასუსტებული ქვეყანა ისევ ავაღორძინოთ.

მთელი ტრაგიზმი და აბსურდულობა ჩვენი ყოფიერებისა იმაშია, რომ ვერა და ვერ ნელდება საქართველოში ზნეობისა და უზნეობის, გონისა და უმეცრების ურთიერთ სამკვდრო - სასიცოცხლო დაპირისპირება. ეროვნულ ხელისუფლებას ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე გადაეღობა პროსაბჭოური ცნობიერების ურუ კედელი. ძნელი აღმოჩნდა მისი გადალახვა, ვინაიდან ბევრი სულმოკლე პირადი პრივილეგიების ძებნაში საქართველოს ივიწყებს, ეროვნულ ინტერესებს ივიწყებს.

დაძაღონებელია ბევრი ჩემი თანამემამულის მოქალაქეობრივი პოზიცია. რა თქმა უნდა, ყველას ვერ მოთხოვ ეროვნული იდეის მთელი სიღრმით გათავისებას, მაგრამ იმ პოზიციაზე მაინც მოეთხოვება დგომა, რომ თავისი ხალხის სატკივართან იყოს.

ზოგიერთი გაქსუებული, ახლომხედველი მოქალაქე ქალაქში გამართულ საპროტესტო მიტინგზე დგომას არ კადრულობს და სხვასაც აქილიკებს. რატომ ირჯება ასე? ალბათ იმიტომ, რომ სამართლიანობის განცდა დაქვეითებული აქვთ. ამით არავის შეურაცხყოფა არ გვსურს. ღმერთმა კარგად ამყოფონ საკუთარ შეხედულებებთან ერთად. მაგრამ დასანანი ისაა, რომ მათში ბონურ, ქვეშევრდომულ ფსიქოლოგიას გაუდგამს ღრმად ფესვი. მათ ვერ წარმოუდგენიათ რუსეთის გარეშე ცხოვრება, უბადაღებული იმპერიული სივრცის გარეშე არსებობა. აი, ეს კი ღრმად დამაფიქრებელი და გასაანალიზებელი მომენტი გახლავთ.

ძნელია დაეთანხმო იმ ოპონენტებსაც, რომელნიც ესწრაფვიან რაღაც უსახური, კოსმოპოლიტური სახელმწიფოს აშენებას, რომელიც შთანთქმით დაემუქრება ყოველივე ეროვნულს,

ჯერ შენი მშობლიური გრემი და ილორი უნდა გიყვარდეს კაცს და მერე პარიზის ნოტრდამი, ჟასან-პიეტროს ტაძარი. ჯერ შენი ნოქალაქევის ჩამოშლილმა ქონგურებმა უნდა აგაღელვოს და მერე რომის კოლიზეუმის ნანგრევებმა.

კოსმოპოლიტურისა და ეროვნულის ასეთ დიალექტიკას სწორად უნდა ვჰვრეტდეთ. ჩვენ წინ უნდა წამოვწიოთ ჰეშმარიტი ეროვნული ღირებულებები და ზოგადადამიანურთან გონივრული შეხამებით გავიჯრათ წინ ეროვნული თავისუფლების ტაძრისკენ.

გ. მაძაცარია.

მე ჩემი გზით მივდივარ

(დასასრული)

ლებლობა, ექსპერიმენტის სახით მაინც დაგნერგოთ საწარმოო-საქციონერო საზოგადოება ახალსოფელში.

თქვენ ამას თხოვთ იმ ხელისუფლებას, რომელსაც არ ცნობთ და არ ემორჩილებით...

მე არ ვცნობ მხოლოდ მეთოდს, გზას, რომელმაც ეს ხელისუფლება მოიყვანა. პიროვნებებს არ ვებრძვი. ჭჯერა, რომ ზოგი მათგანი, ვინც დღევანდელ ხელისუფლებასთან თანამშრომლობს, არასდროს უღალატებს ეროვნულ ინტერესებს. და თუ ვთხოვ მათ რაღაცას, სხვა გზა არ მაქვს, ჩემს ზურგს უკან ჩემი თანასოფლელები დგანან — დაბნეულნი, გაღარიბებულნი, შეშინებულნი. სიმართლე გითხრათ, მეშინია, მოახლოებულმა შიმშილმა მათში არ ჩაკლას ყველაზე ადამიანური —საშობლოს სიყვარულის გრძნობა. ეს არ უნდა მოხდეს. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი ხელისუფლებისათვის ხელსაყრელია ასეთი მეთოდიც პოლიტიკური ბრძოლა. რაც არ უნდა დამიჯდეს, ახალსოფლელებს უნდა დავეხმარო.

სხვათაშორის, მე თქვენს გაზეთსაც „არ ვწყალობ", ბაგრამ...

ბატონო, ფრიდონ! პარლამენტში და რესპუბლიკურ პრესაში გაკრთა აზრი—სოფელს გამგებელი კი არა, მამასახლისი უნდა ჰყავდესო.

კატეგორიულად ვეწინააღმდეგები ამ აზრს. კარგად მოეხსენება თითოეულ ჩვენთაგანს, თუ როგორ გამოსწოვა სისხლი ქართველ გლეხკაცს მამასახლისობის ინსტიტუტმ. ეს არ უნდა განმეორდეს. და თუ პარლამენტი ამის გაკეთებას აპირებს, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ სოფლის გამგებლები კანონიერი ხელისუფლების ერთადერთი კანონიერი წარმომადგენლები არიან საქართველოში, კონკრეტულად კი დასავლეთ საქართველოში. და თუ, ისინი მამასახლისის წოდებას შემოიღებენ, ეს შესაძლებელს გახდის არჩევნებამდე ადრე გადაყენონ გამგებლები. დარწმუნებული ვარ, ამის აუცილებლობა არ არსებობს.

ესაუბრა **ნ. მოსიძე,**

ზნეობის სარკე

კატარაა და ბევრს იქადის

ენაზე ბევრი რამ თქმულა და დაწერილა. გვასწავლიდნენ კიდევაც ქრესტომათიის ფურცლებიდან: „ენით დაკოდილს ნაჯახით დაკოდილი სჯობიაო", „გველს ხვრელიდან ამოიყვანს, ენა ტკბილად მოუბარიო", „ზოგჯერ ხმალზე ბასრადა სჭრის პატარა და მწარე ენაო", გვასწავლიდნენ, მაგრამ ამაოდ, ცალ ყურშიც არ შეგვიშვია ეს და სხვა ბრძნული შეგონებანი. ამის შემდეგ რაღა გასაკვირია თუ ჩვენს ჭკუა-გონებას არაფრად ეპიტნავა და არც წაადგა ხალხში მოარული ასეთი გამოთქმები: „გაგიხმეს მაგ სამიწე ენა", „ენა კი არა „ციამპლავა" უდევს პირში", „რავა გველივით ასარსალებს ენას ეს ოხერი", „რა დაგემართა, ენა ხომ არ ჩაყლაპე", „გირჩევნია ენას კბილი დააჭირო, თვარა"...

მიდი, წყევლა-კრულვის კორიანტელი დააყენე, იჯაჯღანე და თუნდაც მუშტი მოუღერე—არ ეშინია ენას, არც მორიდება აქვს და რაც წვეროზე მოადგება ამბობს იმას. უძვლოა, ჩემო ბატონო და იმიტომ! კი, ამ ბოლო დროს ნამეტანი მოგვიმრავლდნენ უძვლო ენის მქონენი. ჩართავ ტელევიზორს და ღიმილ-ღიმილით სულში ჩაგიძვრება ვიღაც მეჭორე, ბაგეს გახსნის და ხედავ როგორ ვერ უჩერდება პირში ცხელ-ცხელი ტყუილებისგან აქავებული ენა. გაზეთს გაშლი და, ღმერთო შეგცოდე, ისეთ „უტყუარ" ინფორმაციებს წააწყდები, ისეთ „ზნეკეთილ" ღაღადისს ამოიკითხავ, ამის შემდეგ ნამდვილად არ გაგიკვირდება სამგლოვიარო განცხადებების შავ ჩარჩოში შენი, ჯერ-ჯერობით ცოცხალი ადამიანის, გვარ-სახელი რომ ეწეროს.

ცილი, ბეზღობა, ჭორი—უდიდესი ბოროტებაა. რუსთაველი ერთგან ამბობს: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა". ხოლო ათ მცნებათაგან ერთერთი უმთავრესი მცნებაა—„არა ცილისწამო". უფალი ჩვენი იესო ქრისტე გვასწავლის: „კეთილ კაცს კეთილი საგანძურიდან სიკეთე გამოაქვს; ბოროტ კაცს ბოროტი საგანძურიდან ბოროტება გამოაქვს. თქვენ კი გეუბნებით, რომ ყოველი ფუჭი სიტყვისათვის, რომელსაც იტყვიან ადამიანები, პასუხს აგებენ განკითხვის დღეს; ვინაიდან შენი სიტყვებით გამართლდები და შენივე სიტყვებით გამტყუნდები".

უფლის მადლით გაბრწყინებულ მოციქულ იაკობის წერილში ვკითხულობთ: „...ვინც სიტყვით არ ცდება, სრულყოფილი ადამიანია. მას შეუძლია ალაგმოს მთელი სხეულიც. აჰა, ცხენებს ლაგამი ამოვდეთ, რათა დაგვემორჩილონ და ვმართავთ მთელ სხეულს. აჰა, ხომალდები. როგორი დიდი ბიც არ უნდა იყვნენ და როგორმა ძლიერმა ქარმაც არ უნდა ატორტმანოს, პატარა საჭე იქით მიაბრუნებს მათ, საითაც მესაჭე მოინდომებს. ასევეა ენაც. პატარა ასოა და ბევრს იქადის. აჰა, რა მცირე ცეცხლი ჰბუგავს დიდ ტყეს. ენაც ცეცხლია, უმართლობის მთელი სამყაროა იგი. ენა ჩვენს ასოებს შორისაა მოთავსებული. იგია მთელი სხეულის წამბილწავი და ჩვენი დაბადების ბორბლის აღმაგზნებელი, თვით აღგზნებულია ჯოჯოხეთისაგან. რა დგან ყოველგვარი ბუნება მხეცთა და ფრინველთა, ქვეწარმავალთა და ზღვის ცხოველთა თვინიერდება და მოთვინიერებულია ადამიანის ბუნების მიერ; ენის მოთვინიერება კი კაციშვილს არ შეუძლია, დაუკავებელია ეს ბოროტება და მომაკვდინებელი გესლითაა სავსე. მით ვაკურთხებთ ღმერთსა და მამას და მით ვწყევლით ღვთის ხატად შექმნილ ადამიანებს. ერთი პირიდან გამოდის ლოცვა-კურთხევა და წყევლა, ასე არ უნდა იყოს, ჩემო ძმებო. განა მოედინება ერთი წყაროს თვალიდან—ტკბილი და მწარე? ჩემო ძმებო, განა შეუძლია ლეღვის ხეს ზეთისხილი მოისხას, ანდა ვაზს —ლეღვი? ასევე ერთი წყაროდან არ შეიძლება მოედინებოდეს მლაშე და ტკბილი წყალი".

ძნელია ამ ჰეშმარიტ სიტყვებს რაიმე დაუმატო, ღმერთმა ქნას, რომ „ყოველი ადამიანი იყოს სმენაში მარდი, სიტყვასა და რისხვაში ნელი".

ჯ. არქანია.

ჩხოროწყუელთა ახალი გაზეთი

ერთი მიზნით ანთებულნი

„ცაშკიბული“ მწვერვალია ჩხოროწყუს რაიონის ტერიტორიაზე. სწორედ ამ სახელზე შეაჩერეს თავიანთი არჩევანი ჩხოროწყუელმა პატრიოტებმა, როცა ამავე რაიონის „მრგვალი მაგიდის“ ეგიდით გამოუშვეს ერთჯერადი გაზეთი.

გაზეთის მეთაურ წერილში ვკითხულობთ: „ცაშკიბული“ ცაზე მიბჯენილ კიბეს ნიშნავს. სწორედ ახლა ესაჭიროება ეს კიბე ჩვენს ერს, რათა ღმერთს მიუახლოვდეს, მისგან შეწევნა და უკანონობასთან, ანარქიასთან ბრძოლის ცეცხლისა და ენინის ჩანერგვა ითხოვოს, ხოლო თვალდაბინდებულებისათვის — ახელა და მართლაც გამოხედვა.

გაზეთში გამოქვეყნებულია გიგლა კვირკველიას, ლამარა შენგელიას, სანდრო ჯუმითელის, კოტე ნაჭყებიას, ზავენ ყვანიას და სხვათა წერილები. ყოველ მათგანს დღევანდელი მოვლენების საღად დანახვისა და შეფასების, განსაცდელში ჩავარდნილი მამულის უკეთური ძალებისაგან გამოხსნის სულისკვეთება მსჭვალავს. მოსაწონია ამ პუბლიკაციების ენა და სტილიც.

„ჩვენი მიზანი არა მხოლოდ ჩხოროწყუს რაიონის მოსახლეობისათვის სიმართლის ნოყიერი პურის მიწოდება, არამედ შეძლებისდაგვარად სხვა, უფროტერორიზებულ ქართულ რეგიონებში შეღწევა და იმ მცირერიცხოვანი სიმართლის მომსახურე პერიოდიკების მიერ გაწეული მუშაობის გარკვეული კუთხით შევსებაა“, —გვპირდებიან გაზეთის გამომცემელნი.

მშვენიერი განზრახვა, ღმერთმა ხელი მოუმართოთ.

რ. თორაის.

გუნეგის ქომაგები

ხე ნაყოფით შეიცნობა

ბრაკონიერი და ხელმრუდი არც ადრე, გასულ წლებში აკლდა ჩვენს ფლორასა და ფაუნას, მაგრამ ახლა, ამ საყოველთაო განუკითხაობის ჟამს, მტრისას რაც ხდება: ღელემდინარეებში ლიფსიტა არ დარჩა ამოუხოცავი, უმოწყალოდ იჩეხება ხე-ტყე... თუ ამ ბორიტებას დროზე არ დავუსვით წერტილი, ხვალ და ზეგ უკვე გვიან იქნება—შეგვრჩება უსიცოცხლო მდინარეები, გაუდაბურებული და ქარების სათარეშო სანახები, ამომშრალი კალაპოტები, მოგვეძალება მეწყერი და ღვარცოფები. და ყოველივე ამას ცივილიზებული ენით ერთადერთი განმარტება აქვს —ეკოლოგიური უბედურება.

დიახ, დღეს ჩვენს დედაბუნებას მოუვარე და ნამდვილი ქომაგი, სამწუხაროდ, ცოტა ჰყავს, მტერი კი... „ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკლავები?!“ ბუნების ჭეშმარიტ ქომაგთა შორის მე ვიცნობ ერთ კაცს, რომელიც დადის და ვისაც კი იცნობს, ეხვეწება, კოლხური წაბლის ჯიშიან ნერგებს მოგცემ უსასყიდლოდ, ოღონდაც ადგილი გამოძებნე, დარგე და ახარე. ზოგიერთი უჯერებს და მიაქვს ნერგი, ზოგიც უსმენს და იცინის, მავანიც კიდევ —„რაღა დროს ნერგია, ქვეყანა თავზე გვემხობაო“...

ღიმილიანი, უშუალო და ენატკბილი მოსაუბრე გახლავთ თენგიზ არახამია. არა, აგრონომი არ არის, მაგრამ მცენარეთა სუნთქვას გრძნობს, მათი გულისთქმა ესმის და „ესაა მთავარი“. სოფელ ინგირში, საკუთარ საკარმიდამოზე კოლხური წაბლის შესანიშნავი სანერგე მეურნეობა აქვს მოწყობილი. რვა წელიწადია რაც ამ საქმეს მისდევს. ნერგები თითქმის საუკუნეს მიტანებული ერთი ვეება წაბლის დედაძირიდან გამოჰყავს. ამ გოლიათი ხისათვის ვაუა-ფშაველა დაურქმევია, ამბობს, რატომღაც ჩაფიქრებულ ფშაველ გენიოსს მაგონებსო. ეტყობა, შეიძლება არ წერდე ლექსებს და პოეტი იყო... ბატონ თენგიზს საათობით შეუძლია ილაპარაკოს კოლხური ჯიშის წაბლის უნიკალურ თვისებებზე. მისგან შევიტყვე, რომ ჩვენი ძირძველი მიწის ეს უმშვენიერესი ქმნილება—კოლხური წაბლის ხე იზრდება 25 მეტრამდე, მესამე წლიდან იძლევა ნაყოფს, რომელიც არა მხოლოდ კვებითი ღირებულებით გამოირჩევა, არამედ არის უებარი წამალი დიაბეტით დაავადებულთათვის; ყვავილობის პერიოდში წაბლის ხის სასურველი სტუმარია ფუტკარი; წაბლის ნაყოფი ძვირად ფასობს უცხოეთში, განსაკუთრებით —იაპონიაში. ახლა წაბლის ხის მერქანს არ იკითხავთ? დიახაც რომ ოქროს ფასი ადევს...

განა მხოლოდ წაბლის ნერგებს ელაციცება! მის სანერგეში ამაყად თავს იწონებს მრავალი სახის მცენარე და მათ შორის ბაწარას ნაკრძალიდან (ახმეტის რაიონი) დიდი ჯაფით ჩამოტანილი უნიკალური ძელქვა, ურთხელი და სხვ.

აბა კეთილი სიტყვები როგორ უნდა დავიმუროთ ბუნების უანგარო ქომაგზე, რამეთუ „ხე ნაყოფით შეიცნობა, ადამიანი—საქმით“.

ჯ. არქანია.

ველოსიპედით დედამიწის გარშემო ანუ მსოფლიოს 220 (!) ქვეყანაში

დედამიწის გარშემო ველოსიპედით მარტოდმარტო მრავალწლიანი მოგზაურობისათვის ემზადება გინესის, ანუ მსოფლიოს არაჩვეულებრივი რეკორდების წიგნში შესული პირველი ქართველი, 53 წლის თბილისელი მოქალაქე ჯუმბერ ლეჟავა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების და ტექნიკის კომიტეტის ინფორმაციული სისტემებისა და ახალი ტექნოლოგიების განყოფილების გამგე, საერთაშორისო არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი, საქართველოს ანალოგიურ კლუბ „ჯოტიას“ პრეზიდენტი.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ურთულესი ველომარათონი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების თარიღს (1918 წლის 26 მაისს) ეძღვნება, დაიწყება 1993 წლის აგვისტოში და დამთავრდება 1998, ანუ საქართველოს რესპუბლიკის მე-80 წელიწადს.

ნაცადი ინჟინერი და უშიშარი სპორტსმენი საქართველოს ყველა მხარეში საჩვენებელი ველომოგზაურობის, სამკურნალო ვარჯიშებისა და საქმიანი შეხვედრა, პრესკონფერენციების სერიალის შემდეგ საქართველო-თურქეთით დაიწყებს თავის ოდისეას და მსოფლიოს 220 სახელმწიფოს ესტუმრება.

ხუთწლიანი მოგზაურობის მარშრუტი სულ 225 ათას კილომეტრს შეადგენს, რაც დედამიწის გარშემო ეკვატორით ხუთგზის გარშემოვლას ექვივალენტია. აქედან 65 ათასი ზღვებსა და ოკეანეებზე გადის და, რა თქმა უნდა, ხომალდებით განხორციელდება.

საგულისხმოა, რომ გინესის წიგნში შესული გლაზგოელი ტომი ჩემბერსის (ირლანდია) სარეკორდო ველომოგზაურობა დედამიწის გარშემო 1922 წელს დაიწყო და 1973 წელს დამთავრდა, ანუ 51 წელიწადს გაგრძელდა.

ქართველ ველომოგზაურს განზრახული აქვს ათჯერ ნაკლებ დროში მოინახულოს მსოფლიოს ბევრად მეტი ქვეყანა და თანამემამულეებს მიაწოდოს განცდილის, ნანახისა და მოსმენილის ამსახველი საგულისხმო წერილები. ამასთანავე შექმნას ორიგინალური წიგნი და ვიდეოფილმი, რომელთა ავტორი, მხატვარი, ოპერატორი და რეჟისორიც თვითონვე იქნება.

მშობლიური ქვეყნის ურთულესი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ვითარების ჟამს ჩვენებური ვაჟკაცის ასეთი ფანტასტიკური ნაბიჯ ბევრმა შეიძლება დონ-კიხოტურ ახირებად მიიჩნიოს. მაგრამ, მოდით, ნუ აჩქარდებით, ყველაფერი კარგად ავწონ-დავწონოთ; ჯერ გავაცნობიეროთ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ტკბილ-მწარე თავგადასავალი; მოვისმინოთ მისი გულისნადები და აი მაშინ, დარწმუნებული ვართ, თვით ყველაზე კონსერვატორი ოპონენტიც კი ამ მოგზაურობას და მასთან დაკავშირებულ საველომოქმედო მოძრაობას თვითონაც მხარს აუბამს.

დიახ, ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ცხოვრება და მოღვაწეობა ნიმუშია იმისა, თუ ახლებურად მოაზროვნე პიროვნებას როგორი სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობანი მოეპოვება და სამწობლო ქვეყნის სასიკეთოდ რისი გაკეთება შეუძლია, თავად განსაჯეთ. 47 წლის ასაკში ორი უმძიმესი ოპერაციის შემდეგ კუჭ-ნაწლავის განგრენას რომ მოჰყვა, სახელოვანმა სპეციალისტმა, მრავალმხრივმა სპორტსმენმა და მოგზაურმა ვარჯიში დაიწყო მისთვის სრულიად ახალ სახეობაში —წოლითი მდგომარეობიდან მკლავებზე აზიდვაში და სულ რაღაც ხუთ წელიწადში დაამყარა: 7 მსოფლიო რეკორდი. კიდევ 4 რეკორდის დამტკიცებას კი ელოდება.

მაშ ასე: მკლავებზე აზიდვის ჯუმბერ ლეჟავასეული ერთსაათიანი რეკორდია 5011 შესვენების გარეშე. ექვსსაათიანისა —19170, თორმეტ საათიანისა — 34955, ოცდოთხსაათიანისა — 444141, ასდღიანისა ანუ მარათონულისა— 1717300, წლიურისა 4.800.000 და ა. შ.

ასეთი ფანტასტიკური შედეგები მსოფლიოს არ ახსოვს. ეს ფაქტი ადამიანის შესაძლებლობათა უდიდეს მასშტაბებზე მეტყველებს; საყოველთაოდ აღიარებულ აერობიკასთან და ძუნძულით სირბილთან შედარებით მკლავებზე აზიდვის— როგორც სამკურნალო ვარჯიშის უპირატესობას ადასტურებს და გადაჭანილია დაავადებების თუ ტრავმების შედეგად დაჩაგრულთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენის საწინდარია.

ამ აზრის ჭეშმარიტებაში მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, თუ წარმოიდგენს, რომ სულ ცოტა ხნის წინათ სარეცელზე მიჯაჭვული ვაჟკაცი. ერთგული მეუღლე, ორი ქალიშვილის მამა და ოთხი შვილიშვილის პაპა, ყოველდღე, როგორც წესი, ათი ათასჯერ აიზიდება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი შრომა-გარჯა პირობითად რკინიგზის სატვირთო შემადგენლობის 15 ვაგონის ტვირთის ამწეობას შეესაბამება (და ინტერესებულ მკითხველს ვაუწყებთ ბატონ ჯუმბერ ლეჟავას ტელეფონია: 30-16-41, 99-79-24).

რაც შეეხება დედამიწის გარშემო მოგზაურობას —ამ ველოძარათონის უმთავრესი მიზანია მსოფლიოში საქართველოს ისტორიის კულტურისა და ქართველი კაცის სულიერი, ინტელექტუალური და ფიზიკურ შესაძლებლობათა წარმოჩენა.

ბატონ ჯუმბერ ლეჟავას მიზანს მხურვალედ გამოეხმაურნენ უკრაინელი მეგობრები— —ხარკოვის ველოსიპედის ქარხანაში შექმნეს სპეციალური ველოსიპედი და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა იკისრეს. ამიტომაც ბუნებრივია, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მათი ნაშრომნაღვაწის მადიდებელიც იქნება.

ჩვენს მოგზაურს მიზნად აქვს დასახული, მოინახულოს დედამიწაზე მიმობნეული ქართველთა სათვისტომოები, ქართველოლოგიის ძველი და ახალი კერები. საქართველოს ფირმა-წარმომადგენლობანი; მოიძიოს ახალი ტექნოლოგიები, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოსურნე ბიზნესმენ-ინვესტორები; რეკლამა გაუიოს ყოველივე კარგს. სანიმუშოს, მისაბაძს. ხელი შეუწყოს საქართველოს და საქართველოელ დაინტერესებული ნებისმიერ ქვეყანას ზორის სასარგებლო ანამშრომლობის გაჩაღებას.

არაჩვეულებრივ რეკორდსმენთა კლუბის პრეზიდენტს თავისი არაჩვეულებრივი მისიის განხორციელებაში გულშემატკივრობა-სპონსორობას უწევენ ფირმა „ათემი“, ფირმა „კოპი“, საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაცია, ქალაქ რუსთავის აღორძინების კლუბი...

ამ დღეებში მათ რიცხვს შეემატა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. მამულის აღორძინების საზოგადოება. საქართველოს ხალხური აკადემია და ეროვნულიდ საქართველოს საზოგადოება „ეგრისი“. ამალმა შეფეთა სასურველ პიროვნებას გულითადი ძღვენი მოუწყვეს და ინიციატორი საინფორმაციო ბანკის ბუქლეტი აღუთქვეს.

ახალი საინფორმაციო სამსახური ეკრებს თანამედროვე ადამიანთა ინფორმაციას ამ ძალიან ფართოა, აგრეთვე ქართველ და საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა მოგზაურთა და მოგზაურობათა შესახებ. ამასთანავე, გაანალიზებს მოგზაურობათა ძალიან, სადაც თავს მოიყრის ყველა უმნიშვნელოვანესი ცნობა მითიურ - ლეგენდარული ამირანის, აიეტ-აფსირტეს და ანდრია მოციქულის ლამქრობა-მოგზაურობებით დაწყებული და ახლახანს დედამიწის გარშემო იალტა „ფაზისით“ მსრბოლელი პირველი ქართველი აფროსანი ჯუმბერ ცომაიას და ევერესტის დამპყრობი, პირველი ქართველი მთასვლელი რომან გიუტაშვილის თავგადასავლებით დამთავრებული.

ჩვენი მოგზაურის მთავარი იარაღია კალამი, ფანქარი, ქაღალდი... მაგრამ სასურველი ფოტოაპარატი, დიქტოფონი, ვიდეოკამერა და საქართველოს ისტორიის და კულტურის მაჩვენებელი 15-20 წუთიანი ფერადი ფილმი ჯერაც არა ჩანს.

ძვირფასო მკითხველო, იქნებ თქვენ ხართ ის პიროვნება, ვინც ყოველივე ზემოთდასახელებულით უზრუნველყოფს მას, გნებავთ ასევე საჭირო კეთილი სიტყვით, თუ საქმით დაეხმარება და თავის ღირსეულ წვლილს შეიტანს ველოსიპედით დედამიწის გარშემო სწორუპოვარი მოგზაურობისა და თანამემამულეთა ჯანმრთელობისა და შრომისუნარიანობის აღდგენისათვის გამიზნული სარეგბილიტაციო ცენტრის დროულად ამოქმედებაში.

გვანჯი მანია,
ჟურნალისტი, მოგზაური,
საზოგადოება ეგრისის საგენტო.

გაცვლითი ოპერაციის მიზნით

ჩაის კომბინატ „ოდიშის“ კოლექტივი სადღეისოდ უშვებს მწვანე ჩაის, რომელიც გადის აზახეთის რესპუბლიკაში აღნიშნულის თაობაზე კომბინატის მთავარმა ინჟინერმა ზ. დოლიძემ. გვითხრა:

—დიახ, კომბინატის მიერ გამოშვებული მწვანე ჩაი გაცვლითი ოპერაციის მიზნით გაგზავნეს აზახეთის რესპუბლიკაში, საქართველოში მარცვლეულის შემოსატანად. გასაგზავნი გვაქვს 350 ტონა მწვანე ჩაი, დღემდე მიწოდებულია 130 ტონა და ეს პროცესი გრძელდება. მთლიანად აღნიშნული რაოდენობის გაგზავნას ვვარაუდობთ მიმდინარე თვეში, თუ ადგილი არ ექნა შეფერხებებს რკინიგზაზე ვაგონების მოწოდების საქმეში.

ახლოა ჩაის კრეფისა და გადამუშავების სეზონი, რაც სერიოზულ სამზადისთან არის დაკავშირებული. შემკვეთ ორგანიზაციებთან დადებული გვაქვს ხელშეკრულებები „ეთიკეტების“, „გოფრირებული ყუთების“ „ფილტრის ქაღალდისა“ და სხვათა მისაღებად.

მიმდინარეობს სამუშაოდან გამოთავისუფლებული მანქანა—დანადგარების შეკეთება. კომბინატში დასაქმებული მუშის ხელფასის მინიმუმი—7 ათასი მანეთია. ზოგიერთი მაღალკვალიფიციური მუშის გამომუშავება კი აღწევს 20 ათას მანეთს.

სარკე

(ჩანახატი)

ირგვლივ სიჩუმეა, ცა ღრუბლებით მოჭუფრულა. ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს. ადამიანებიც, ბუნებაც მდუმარებას მოუცავს. ჩამოვჯექი ბაღში გრძელ სკამზე და ფიქრს მივეცი თავი. ვფიქრობ: ნუთუ არავითარი იმედი არ დაგვრჩა გულში, ნუთუ მართლა არ უწერია ჩვენს ერს მშვიდობიანი ცხოვრება და არასოდეს დავინახავ ბაღიმებულ ჩვენს მშობლებს, დებს, ძმებს? უცებ გრუხუნი შემომესმა. ელავდა და ელვის შუქი ძალუმად ჰკვეთდა არემარეს. ღმერთო ჩემო, სისხლი, ისევ და ისევ სისხლი. თითქოსდა ცა ატირდაო, წამოვიდა საშინელი წვიმა, შეწუხებული ტიროდა ჩემი სამშობლოს შემყურე ცა, ტიროდა გაუთავებლად, გულამოსკვნილად. მოულოდნელად, თითქოს ვიღაცამ მიბიძგა და ჩამჩურჩულა—ზევით აიხედეო. მეც ინსტიქტურად ზევით ავიხედე და დავინახე ის, რასაც ნამდვილად არ მოველოდი. დავინახე ჩემი სამშობლოს მხსნელი თეთრი ფერის რაშზე ამხედრებულიყო. იგი თითქოს გაუგებარ რამეს მეუბნებოდა... იდუმალმა ხმამ ყურში ჩამძახა: „ნუთუ მარხილა გეშინია?! არა შვილო, ნუ შეშინდები, ასრულდება შენი ნატვრა, აღსრულდება ერის ნება. დამშვიდდება შენი სამშობლო და მალე იხილავ ერთად თავმოყრილ მომღიმარ ქართველთა სახეებს“. უეცრად გამოვფხიზლდი, გამოვედი ფიქრების ბურანიდან და ხმამაღლა წარმოვთქვი: მართლაც საოცრება ყოფილა მშობლიური ცა, ვეება სარკედ გარდასახული. მას შესძლებია წარსულის ასახვაც და მომავლის იმედის ჩასახვაც. გიკვირთ ალბათ, როგორ თუ მომავლისაო. ჩვენი სარკე ხომ ჩვენი ისტორიაა და არც უნდა გაგვიკვირდეს ჩვენი მომავლის ხედვა. ქართველებს, როდესაც ძლიერ უჭირდათ, მაშინ მოევლინებოდა მსხნელი. ასე რომ ჩვენი იმედი არ გამტყუნდება, ჩვენი სარკე ჩვენი ისტორიაა. ციისკიდურზე მოჩნს სხივი ნათელი.

ეკა ვეკუა,
№8 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე.

მკითხველის წერილი

ოდონდ გული გულობდეს

ყოფილი გრენკარხნის ოდინდელი მრავალწლიანი ნაძვებით დაბურული ეზოს ხილვა უზომო სიამოვნებას ანიჭებდა ჩემი თაობის ადამიანებს. იგი მუდამ სანიმუშოდ იყო მოვლილ-დასუფთავებული, საიმედოდ შემოკავებული. პაპანაქება სიცხეში იგი ქალაქელთათვის ნამდვილ მწვანე ოაზისს წარმოადგენდა. სადაც სულს ითქვამდნენ, შვებას პოულობდნენ. დღეს კი ამ ძირძველ ტერიტორიაზე სულ სხვა სურათია. ძველი სილამაზისაგან მხოლოდ ნაშთიღა შემორჩენილა. მართალია წიწვოვანი ხეები ასე თუ ისე შენარჩუნებულია, მაგრამ ძველი, ამორტიზირებული შენობა უბადრუკ შთაბეჭდილებას ტოვებს. ყველაზე გულის დამწველი ისაა, რომ აქ ენით უთქმელი ანტისანიტარია სუფევს. გამვლელს ეზოდან საშინელი სიმყრალის სუნი სცემს. ახლო-მახლო მაცხოვრებლებს ეს ტერიტორია ნამდვილ სანაგვედ გაუხდიათ. ჯიჯგნიან ამ სიბინძურეს ძაღლები, ღორები, ძროხები, გამკითხავი კი არავინაა. არა და, გული რომ გულობდეს, ხომ შეიძლება უსუფთაობის ეს ბუდე სულ მოკლე დროში აღიკვეთოს, ღობე შეკეთდეს, ეზო წესრიგში იქნას მოყვანილი?

შეიძლება, ამ საოცრად არეულ - აწეწილ დროშიც შეიძლება, ბატონებო. ოღონდ საკითხავი ეგაა: ვინ აენთოს პირველი ამ საწაღმართო საქმისთვის?

რ. გვალია.

რეპლიკა

ისევ საფოსტო უუთეგზე

აღრე ჩვენი ქალაქის ქუჩებში საფოსტო ყუთებს აქა-იქ მაინც მოჰკრავდით თვალს, ახლა კი, სხვა სიკეთესთან ერთად, ისინიც სადღაც გაქრნენ. საინტერესოა, ვის რაში დასჭირდა უბრალო თუნუქის ყუთი; სპილენძისაგან რომ ყოფილიყო დამზადებული მესმის, გაუჩინარების მიზეზი და მისამართი მაინც გვეცოდინებოდა და ესეც ერთგვარი ნუგეში იქნებოდა ჩვენთვის... ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც, მხოლოდ ერთი—კავშირგაბმულობის სამინისტროს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე დამონტაჟებული საფოსტო ყუთილა შემორჩა ქალაქს.

ამბობენ, საფოსტო ყუთებს თბილისიდან არ აგზავნიანო. მაშ, რა ვქნათ, სად ჩავუშვათ წერილი, თუკი ის ერთადერთი ყუთიც სადღაც გაქრა?

ბ. ალშიბაია.

კოოპერატივების, მცირე საწარმოების და არასახელმწიფო სექტორის სხვა საწარმოების ხელმძღვანელთა საყურადღებოდ!

ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის 1993 წლის 12 აპრილის №193 განკარგულებით დაწესებულია საქონლის რეგიონის ფარგლებს გარეთ რეალიზაციისას ტვირთების წინასწარი რეგისტრაცია საგადასახადო ინსპექციაში. რეგისტრაციის შესახებ შესაბამისი ცნობის გარეშე რკინიგზის სადგურები არ მოახდენენ საქონლის გადატვირთვას, ხოლო საგზაო პოლიციის მიერ ტრასაზე დაკავებული იქნებიან ასევე ცნობის გარეშე გაგზავნილი ტვირთები.

საქონლის რეგისტრაციისა და შესაბამისი ცნობის მისაღებად უნდა მიმართოთ საგადასახადო ინსპექციას, შემდეგ მისამართზე რუსთაველის ქ. №91, მეოთხე სართული, ტ. 2-10-07.

საგადასახადო ინსპექცია.

მეუღლე ანტისა, შვილები: ნოდარი, რეზო, შვილიშვილები მაია, ხათუნა, ზურაბი, ბესიკი, ძმები: გიორგი, გივი, რძლები: ლამარა (ეთერი) ჭურღულია, ციცინო კარტოზია. ლორეტა ახალაია, ნინა, ტონია, ნარგიზა ცანავები, სიძეები: თემური სამუშია, კობა კოტრიკაძე, ძმისშვილები: ზეინაბი, ინეზა. ნუკრი, თამრიკო, რუსიკო, ნანა, მიმოზა, ლექსო, ოთარი, მანანა. ნანა, გია, დისშვილები: ნიკო, იზა გეგელიები, ძიძაშვილები, დეიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ (კოლია) ალექსის ძე ცანავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 24, 25, 26 აპრილს. დაკრძალვა 27 აპრილს. გამოსვენება ქ. ზუგდიდი, ჯანო რაფავას (ჟრიცკის) ქუჩა №3-დან 16 საათზე.

მეუღლე მარიამი, შვილები: ლეილა, ბათუ. სიძე ზაურ ჩხენკელი, რძალი მზია ჩიქობავა, შვილიშვილები ლევანი, ლექსო ხუბულავები, ალიკო, მაია, გიორგი ჩხენკელები, მზახლები: იროდიონ ვალია ჩიქობავები, მარიამ ქუთათელაძე, სევერიან იობიძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ალექსანდრე (კუკუშა) ბათუს ძე ხუბულავა.

პანაშვიდი 22, 23 აპრილს. დაკრძალვა 24 აპრილს, შაბათს 17 საათზე. გამოსვენება ქ. ზუგდიდში, პეტრიაშვილის №4-დან.

მეუღლე ნატო, შვილები ელენე. ელმირა, გიორგი, დედა ნათელა, ძმები: ნუგზარი, კობა, ბელია ბაბუცა, სიდედრი გული, სიმამრი ზაურ ანთია, რძლები, ბიძები, დეიდები. მამიდები, ძმისშვილები, ბიძაშვილები, დეიდაშვილები და ახლო ნათესავები იუწყებიან

გოგი (მურთაზი) ნაპოს ძე ხარებავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23 აპრილს, დაკრძალვა შაბათს, 24 აპრილს სოფელ ჩხორიაში.

თვალსაზრისი

ნუ გადავაკცევთ ლეგენდად

ადამიანის საზრდო ადრე შედარებით იოლად იშოვებოდა. დღეს კი მისი ფასი კატასტროფიულად იზრდება. გვექნება ფული და არ გვექნება საკვები, ეს იმიტომ, რომ ბევრმა გაიუცხოვა მიწა. საზოგადოებრივი სექტორის შემყურემ განადგურა პირუტყვიც. საგრძნობლად დაეცა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების დონე.

ადრე, არც ტრაქტორი უყვდა გლეხს და არც სალეწი მანქანები, მაგრამ ხარ-ურემი, ცხენი სწევდა ჯაპანს. ახლა? ახლა აღმოსაჩენია ხარ-ურემი და მეურმე, ცხენი და მხედარი, სამჭედლო და მჭედელი, სადურგლო და დურგალი. წარმოუდგენელია მეურნე წალდის და საჯაბის გარეშე. საძებარია ხელოსანი. მე ყველას ვთხოვ: ნუ გადავაქცევთ მამა-პაპათა ცხოვრებისეულ ტრადიციებს ლეგენდად და სამუზეუმოდ. ყველა სოფელში ავაჭრიალოთ ურემი, გავაცოცხლოთ ურმული. ვიკადროთ ხვნა-თესვა მამა-პაპურად. დამიჯერეთ, ხამდაზმულს, არაფერს წააგებთ, პირიქით, მოიგებთ კიდეც.

მივხედოთ საჭედლოებს. ნუ ჩავაკრობთ ქურაზე ცეცხლს.

ქ. გაგუა.

გამოსათხოვარი

ონისე წყაროზია

ეს რა მეხი დაგვატეხე თავზე შენი სიკვდილით, ოდისე. ‘ეხი უბედური ძამის, ცალად დარჩეული მეუღლის და ერთადერთი შვილის იოაკლის უნაპირო მწუხარებით დაზაფრულებს სიტყვის თქმა გვიჭირს.

გვიკვირს, 28 წლის ახალგაზრდამ როგორ მოასწარი ამდენი სიკეთისა და მადლის ქმნა, ამდენი ნაღდი, უღალატო მეგობრის შეძენა. ჩუმად, უხმაუროდ მისდევდი იმ ურყევ ქრისტიანულ წესს, რაც სიყვარულით ადამიანთა დაახლოებას ისახავს მიზნად. ამიტომაც მიგვაჩნდი საძმოს თავკაცად, ზრდილობისა და ზნეკეთილობის ეტალონად: საშური გულმოდგინებისა და კორექტულობის კვალი ატყვია შენს მიერ გამოძიებულ საქმეებს. ვაი, რომ მზარდი იურისტი გიმსხვერპლა უამთა-ცვლით მოტანილმა წინააღმდეგობრივმა, ტრაგიკულმა მოვლენებმა.

მშვიდობით, დაუვიწყარო ონისე. ამიერიდან ჩვენს ხსოვნაში დაიდებ ბინას.

მეგობრები

ცხოვნება

„...არ არსებობენ გარდაცვლილები“

ეს სიტყვები სულმნათ მერაბ კოსტავას ეკუთვნის. ღრმად მორწმუნემ და ჭეშმარიტად ქრისტიანმა კაცმა, შვილის ტრაგიკული სიკვდილით თავზარდაცემულმა, ტკივილიანი გულიდან ამოიწურა ისინი და ჩვენ, უბრალო მოკვდავთ ნუგეშად დაგვიტოვა, რათა გაუსაძლისს გავუძლოთ და არსებობა გავიმართლოთ.

ეს სიტყვები ნუგეშად გვინდა ვუთხრათ გია ნაყოფიას მშობლებსაც: ქალბატონ ეთერსა და ბატონ მამიას. თვალსაჩინო ახალგაზრდა აღზარდეს მათ. ცხოვრების დიდ გზაზე გასულს საგზლად მამულის სიყვარული გა-ატანეს. სწორედ სამშობლოსთვის დაეცა ოცდათორმეტი წლის ვაჟკაცი—ცხოვრებაზე, საკუთარ ოჯახზე, მეუღლეზე, შვილებზე უზომოდ შეყვარებული. და ვაგლახ, რომ მისი მკვლელი დროის უკუღმართობით გონდაბინდული თანამოძმეა.

დღეს გია ნაყოფიას სახელი ქვია ერთ-ერთ ქუჩას მის სოფელში. მარადიული ხსოვნის ნიშნად მუდამ ყვავილებითაა შემკული მისი საფლავი.

სამშობლოსათვის დაღუპულებს დავიწყება არ უწერიათ...

„არ არსებობენ გარდაცვლილები“.

ნ. მიქაძე.

სარედაქციო კოლეგია

ი ნ დ ე ქ ს ი 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი, მერაბ კოსტავას ქ 56. ტელეფონები: რედაქტორის 2 24-50, რედაქტორის მოადგილის 2-33-69, პასუხისმგებელი მდივნის 2 31 96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2 21-78, მშრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2 47-00.

რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის ზუგდიდის სტამბა. მერაბ კოსტავას ქ. №56, 2-28-97, ტირაჟი 700, შეკ. №882